10.51364/26679604.jcpr.2022.v03i03.007

ეთერ ჭურაძე

თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი,
საქართველო
etosvireli@gmail.com

ადრეული ამერიკული რომანი *The Coquette* და მისი იდეოლოგიური მნიშვნელობა

„ვაღიარებ, მიუხედავად იმისა, რომ ქალები
ამერიკის შეერთებულ შტატებში ოჯახური
ცხოვრების ვიწრო წრით არიან შეზღუდული
და, გარკვეულწილად, ძალიან დამოკიდებულ
მდგომარეობაში რჩებიან, არსად მინახავს
ქალს ასეთი აღმატებული ადგილი
ჰქონოდეს“.
(Tocqueville 1945 :214)

ამერიკის რევოლუციამ და ახალი რესპუბლიკის შექმნამ განაპირობა ამერიკის შეერთებულ შტატებში ქალთა შესახებ ახალი აღქმის ჩამოყალიბება, რასაც მეთვრამეტე საუკუნის ქალმა ავტორებმა მნიშვნელოვნად შეუწყვეს ხელი. რევოლუციამდე ქალი აღიქმებოდა ემოციურ არსებად, სუსტ ქმნილებად, რომელიც პასუხისმგებელი იყო მხოლოდ საოჯახო საქმეებზე. მოგვიანებით, ამერიკის რევოლუციის პერიოდში წარმოჩინდა ქალის, როგორც პატრიოტისა და მებრძოლის როლი, რამაც მნიშვნელოვნად განსაზღვრა ქვეყნის ბედი. მიუხედავად ამისა, ქალი საზოგადოებრივი სფეროს მაინც არაოფიციალურ წევრად რჩებოდა. „დამოუკიდებლობის დეკლარაციას“ და 1783 წელს დიდ ბრიტანეთთან ომის დასრულებას მოჰყვა ერის ჩამოყალიბების

ხანგრძლივი პროცესი. ქალებმა, რომლებიც რევოლუციის პერიოდში მამაკაცების სამხედრო მხარდამჭერები და მოკავშირეები იყვნენ, გაიაზრეს საკუთარი შესაძლებლობები, ძალა და მეტი უფლებების მოსაპოვებლად ბრძოლა დაიწყეს. ამასთან დაკავშირებით შეიძლება გავიხსენოთ შემდგომში ამერიკის პრეზიდენტის ჯონ ადამსის მეუღლის აბიგაილ ადამსის ჯერ კიდევ 1776 წლით დათარიღებული ცნობილი წერილი, სადაც ქალი ქმარს შეახსენებს, რომ კანონების მიღების დროს ყოველთვის ახსოვდეთ ქალები (Adams 1963:369-71). წერილი იმის დასტურია, რომ რევოლუციის პერიოდში ქალებთან დამოკიდებულებაში მამაკაცებს შეუზღუდავი უფლებები ჰქონდათ, ამიტომ თანაბარი უფლებებისათვის მოთხოვნა დღის წესრიგში დადგა. ადამსის წერილი შეიძლება ჩაითვალოს ამერიკის შეერთებული შტატების პირველ ფემინისტურ მანიფესტად. ოდნავ მოგვიანებით ამერიკელმა პოეტმა და ესეისმა ჯუდიტ სარჯენტ მარეიმ 1790 წელს გამოაქვეყნა ესე ,,სქესთა თანასწორობის შესახებ“ (“On the Equality of the Sexes”). ესე უიღბლო ქორწინებებს, ცოლქმრულ სიყვარულსა და ქალების განათლების აუცილებლობას შეეხებოდა. 1792 წელს კი იწერება ბრიტანელი მწერლისა და ქალთა უფლებების დამცველის მერი უოლსტოუნკრაფტის ნაწარმოები ,,ქალის უფლებების დაცვა“ (*A Vindication of the Rights of Woman*). მერი უოლსტოუნკრაფტის კონცეფციით, ქალი ოჯახის ერთგული უნდა ყოფილიყო, მონაწილეობა მიეღო სოციალურ და ეკონომიკურ საქმიანობაში, ქალსა და მამაკაცს უნდა ჰქონოდათ თანაბარი სამოქალაქო და საკუთრების უფლება.

აბიგაილ ადამსის, მარეისა და უოლსტოუნკრაფტის შეხედულებები გამოძახილია იმ მსოფლმხედველობისა, რომელიც ანგლოამერიკულ სივრცეში მეთვრამეტე საუკუნის ბოლოს ფეხს იკიდებს. მეთვრამეტე საუკუნის ისტორიული რეალობა კი ასეთი იყო: ოჯახური გარემო გადაიქცა სფეროდ, სადაც მომავალი ღირსეული მოქალაქე უნდა აღზრდილიყო და ჩამოყალიბებულიყო. პატიოსანი, კეთილშობილი, პატრიოტი მოქალაქე ოჯახში იზრდებოდა. ამ ფაქტმა კი გააძლიერა ქალების განათლების აუცილებლობა. რადგან ოჯახი რესპუბლიკისათვის მნიშვნელოვანი ინსტიტუტი აღმოჩნდა,

საზოგადოების მდედრობითმა წევრებმა ისეთი სამოქალაქო პასუხისმგებლობა იტვირთეს, როგორიცაა შვილებისა და მეუღლეების ზნეობის ფორმირება. ხელისუფლების პატიოსნებასა და სტაბილურობას განაპირობებდა ოჯახი. ამის საფუძველზე ჩამოყალიბდა ახალი იდეალური ქალის მოდელი – ,,რესპუბლიკელი ქალი“ (republican woman), რომელიც პატიოსანი, ჭკვიანი, განათლებული და საკუთარ თავში დარწმუნებული უნდა ყოფილიყო. ამასთან, სოციალურ-ეკონომიკურმა მდგომარეობამ, ინდუსტრიალიზაციამ და კაპიტალიზმმა ხელი შეუწყო ქალთა ახალი იდეოლოგიის ჩამოყალიბებას. ახალ ერს ქალის ახალი განსაზღვრება სჭირდებოდა, სწორედ ეს იყო ,,რესპუბლიკელი ქალი“. ასეთი ქალი პატრიოტიზმს, სოციალურ პასუხისმგებლობასა და ოჯახურ ღირებულებებს აერთიანებდა, ის სხვა ქალებს საკუთარი თავის აღმოჩენაში, ძალისა და ენერგიის შეფასებაში დაეხმარებოდა. რესპუბლიკელი ქალი ქალობის იდეალი იყო როგორც რეალურ ცხოვრებაში, ისე ახალ ამერიკულ ლიტერატურაში.

მეთვრამეტე საუკუნის ბოლოს ლიტერატურულ ასპარეზზე გამოდიან ქალები და ქმნიან სენტიმენტალურ ლიტერატურას ქალების შესახებ. რომანები ქალთა ავტორობით შეიძლება აღვიქვათ, როგორც ისტორიული წყაროები, რომლებიც ფასდაუდებელ ინფორმაციას გვაწვდიან მეთვრამეტე საუკუნის დამლევს ამერიკის შეეერთებულ შტატებში ქალთა ცხოვრებაზე. სენტიმენტალური რომანები შეცდენილი ქალის შესახებ აჩვენებდა ქალის დაბალ მდგომარეობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში, რომელსაც არ გააჩნდა სამართლებრივი უფლება, ჰქონდა მცირე შესაძლებლობა განათლების მისაღებად, საბოლოოდ კი ორმაგი სექსუალური სტანდარტის მსხვერპლი ხდებოდა; მკაცრი საზოგადოებრივი მორალი მას კრიტიკის ქარცეცხლში ატარებდა, ქორწინების გარეშე სასიყვარულო ურთიერთობას გმობდა და შეცდენილ ქალს იზოლაციაში აქცევდა. ეს რომანები ქალებისთვის იყო ერთგვარი სახელმძღვანელო, მორალური ტრაქტატი, რომლის მიხედვითაც მათ ახალ, რევოლუციის შემდგომ საზოგადოებაში უნდა ეცხოვრათ. დიდაქტიკური ფუნქციის გარდა, რომელიც მკითხველს აფრთხილებდა საზოგადოებრივი მორალის

შესახებ და უმწეო ქალის მიმართ თანაგრძნობის გამოწვევას ცდილობდა, ქალ ავტორებს სხვა მნიშვნელოვანი მისიაც ჰქონდათ საკუთარ თავზე აღებული: რეალობისა და სოციალური კონტექსტის შეფასება. მიუხედავად იმისა, რომ ქალებმა რევოლუციის შემდეგ გაიმყარეს საკუთარი ადგილი საზოგადოებაში, ქალი ავტორები უფრო მეტს ითხოვდნენ ახალი ქვეყნისაგან და სინამდვილის გადმოცემით, ცხოვრების რეალური ფაქტების მოხმობით, ეფექტურად აყენებდნენ კითხვის ნიშნის ქვეშ სოციალურ და პოლიტიკურ ნორმებსა თუ ღირებულებებს. ეს ფაქტი კი ცდუნების სენტიმენტალურ რომანებს ფემინისტური იდეოლოგიის წინამორბედის რეპუტაციას კიდევ უფრო უმყარებს.

მოხსენების მიზანი ამერიკის რეალურ ცხოვრებაში მიმდინარე პროცესების წარმოჩენაა, რაც მხატვრული ლიტერატურისა და ისტორიული არეალის კვლევით მიიღწევა. ამისთვის მოვიხმობ თანამედროვე კვალიფიციური მკითხველისათვის ნაკლებად ცნობილ ამერიკულ ნაწარმოებს – ჰანა უებსტერ ფოსტერის რომანს ,,კეკლუცი, ანუ ელაიზა უორტონის ისტორია“ (*The Coquette; or, The History of Eliza Wharton*, გამოიცა 1797 წელს). რომანი ფოსტერმა ფსევდონიმით გამოაქვეყნა და მხოლოდ მისი გარდაცვალების შემდეგ დაიბეჭდა ავტორის ნამდვილი სახელით. ნაწარმოები ახალ ინგლისში მცხოვრები ელიზაბეტ უიტმენის ბიოგრაფიითა და ტრაგედიით არის შთაგონებული, რომელიც რომანის გამოსვლამდე ცხრა წლით ადრე გარდაიცვალა. ელაიზა უორტონი ელიზაბეტ უიტმენის უშუალო პროტოტიპია. ამ რომანის, ისევე როგორც იმ პერიოდის სენტიმენტალური რომანების მიმართ არაერთგვაროვანი დამოკიდებულება არსებობდა და დღესაც არსებობს. ლიტერატურის ზოგი კრიტიკოსი ამტკიცებს, რომ მეთვრამეტე საუკუნის რომანებს ქალთა ავტორობით სერიოზულობა აკლია, მაგალითად, ლესლი ფიდლერი ამ წიგნებს ,,ცუდ ბესტსელერებს“ უწოდებს (Fiedler 1960:93). თუმცა სხვები ამტკიცებენ, რომ ეს ნაწარმოებები ამერიკელებისათვის ფასდაუდებელი უნდა ყოფილიყო, რადგან ისინი ქალების იდეალებსა და იდეოლოგიას ასახავდა. ისეთი მწერლები, როგორიც სიუზანა როუსონი, ჰანა უებსტერ ფოსტერი, მარია კამინზი,

სარა უენტვორტ მორტონია, ესთეტიკურად მიამიტი საოჯახო რომანებისა და სენტიმენტალური ისტორიების გამო ამოღებული იყვნენ ამერიკული ლიტერატურის ანთოლოგიიდან. ბევრი თანამედროვე მკვლევარიც ამტკიცებს, რომ ასეთ ლიტერატურას დამაჯერებლობა აკლია, არ აქვს პროზისათვის დამახასიათებელი სტილი, საბოლოო ჯამში, კი მარტივი და არასრულყოფილია, პერსონაჟები სტერეოტიპულები არიან. მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, 21-ე საუკუნიდან ყურადღება გამახვილდა ამ რომანების კვლევაზე, რომლებიც არა მხოლოდ ღირებულ ისტორიულ წყაროდ გვევლინება და გვიქმნის ზოგად წარმოდგენას იმ ყოფაზე, როცა ეს ტექსტები იწერებოდა, არამედ, ზოგი კრიტიკოსის მიხედვით, მათი მხატვრული ღირებულებაც საკმაოდ მაღალია (Elliot 2002:162). ლიტერატურის მკვლევარი ჯეინ ტომპკინსი ამტკიცებს, რომ რომანები პატივისცემის ღირსია თუნდაც იმის გამო, რომ ავტორებმა სინამდვილის ნედლი მასალა ხელოვნებად აქციეს, თანამედროვე მკითხველებს დაეხმარნენ, შეეგრძნოთ ის სამყარო, საიდანაც აღმოცენდა ლიტერატურა, რომელიც თავისი ეპოქის სულისა და ღირებულებების მატარებელია (Tompkins 1985:12-13).

კვლევის მთავარი მოტივაცია არ არის, ვამტკიცოთ ამ პროზის მაღალი ესთეტიკური ღირებულება. ჩემი მიზანია, ერთი რომანის ანალიზით ვაჩვენო ის გარემო და პრობლემატიკა, რომლის გავლენითაც დაიწერა რომანი ,,კეკლუცი“: ქალის უფლებები, ინტელექტი, საზოგადოების დამოკიდებულება და მზაობა ქალთა უფლებების გასაზრდელად.

განათლებულმა, ქალების უფლებებისათვის მებრძოლმა ქალმა ავტორებმა, მწერლებმა და რომანისტებმა - სიუზანა როუსონმა, ჯუდიტ სარჯენტ მარეიმ, ჰანა უებსტერ ფოსტერმა, მერსი ოტის უარენმა და მრავალმა სხვამ თავიანთი შემოქმედებით, პერსონალური დღიურებით, ნარკვევებით, სტატიებითა და ქალებისთვის შექმნილი სკოლებით გადააფასეს ქალების შესახებ ძველი იდეოლოგია. უარენი ქალებისათვის კარგი განათლების აუცილებლობაზე საუბრობდა, რაც ქალს მომავლისთვის, რაციონალური ცხოვრებისა და ქორწინებისათვის მოამზადებდა. უარენსა და მარეის სჯეროდათ

ქალისა და მამაკაცის გონებრივი შესაძლებლობების თანასწორობის. თანამედროვე ქალის ქცევისა და ცხოვრების წარმოჩენით, ქალი ავტორები განაზოგადებენ მეთვრამეტე საუკუნის ამერიკელი ქალის ყოფას. მათ რომანებში ვხედავთ საზოგადოების დამოკიდებულებას ქალის მიმართ.

ფოსტერის რომანი ,,კეკლუცი" შეიძლება განვიხილოთ ისტორიული ცნების ,,რესპუბლიკელი ქალის" კონტექსტში, განვსაზღვროთ, თუ რამდენად ვლინდება ,,რესპუბლიკელი ქალის" იდეა და მისთვის დამახასიათებელი თვისებები და ფასეულობები მთავარ გმირებში – ელაიზა უორტონსა და მის მეგობარ მისის რიჩმანში. ერთმნიშვნელოვნად შეიძლება ითქვას, რომ მისის რიჩმანი, რომელიც ამ ცნებისათვის დამახასიათებელი თვისებების მატარებელია, სამაგალითოა თავისი პატიოსნებით, მაღალი ზნეობითა და მორალით. რაც შეეხება ელაიზას, ის წინააღმდეგობრივი და კომპლექსური სახეა, რომელიც აღსავსეა პარადოქსებით. ამიტომ ისმის კითხვა, არის კი ელაიზა რესპუბლიკელი ქალი? მისი ტრაგედია პიროვნული ტრაგედიიდან გამომდინარეობს, თუ იგი იმ საზოგადოების მსხვერპლია, რომელიც ჯერ კიდევ არ იყო მზად, მიეღო ქალი ესოდენ თავისუფლებისმოყვარე სულისკვეთებით? ჩემი მტკიცებით, რომანის მთავარი გმირი ელაიზა არ არის უბრალო შეცდენილი ქალი, არამედ ისეთი ქალია, რომელმაც მკითხველში შეიძლება აღფრთოვანება გამოიწვიოს თავისი გაბედულებითა და თვისუფლების წყურვილით; ის უფრო მეტია, ვიდრე ბანალური და დაცემული ქალი; ის არის ახალი მოდელი ამერიკის შეერთებული შტატების რეალობაში, რომელსაც პატივს უნდა სცემდეს თვით ავტორი და მეთვრამეტე საუკუნის თეორეტიკოსი და ქალთა უფლებების დამცველი ჯუდიტ სარჯენტ მარეი. ელაიზა არის ის ქალი, რომელიც ამსხვრევს ქალის ცხოვრების ყველა კანონსა და წესს, ამის კვალობაზე, როგორც კრიტიკოსი კეტი დევიდსონი მიუთითებს, ,,საკულტო გმირად" იქცევა (Davidson 1986:149).

რათა კარგად გავიაზროთ ,,რესპუბიკელი ქალის" ცნების არსი ნაწარმოების პერსონაჟებთან მიმართებაში, უნდა გავიგოთ ამ ცნების მნიშვნელობა, კერძოდ, გამოვიკვლიოთ იმ ტერმინების ფესვები და

დატვირთვა, რომლებმაც შექმნა ეს ცნება. ამ შემთხვევაში ორ ტერმინზე გავამახვილებ ყურადღებას: რესპუბლიკანიზმი და პატიოსნება (virtue). როგორც უკვე აღვნიშნე, რესპუბლიკური იდეოლოგია ამერიკის მოქალაქეების მოქმედების დედააზრი გახდა, ხოლო, თავისმხრივ, პატიოსანი და ზნეობრივი პიროვნებები - რესპუბლიკური სახელმწიფოს ქვაკუთხედი. ამერიკული რესპუბლიკანიზმი არისტოტელეს, მაკიაველისა და ლოკის აზროვნებით არის შთაგონებული. კლასიკური რესპუბლიკანიზმი ყურადღებას ამახვილებდა მოქალაქეთა საზოგადოებრივ პატიოსნებაზე (Zagarri 1992:197, 203), გამოკვეთილი იყო პიროვნების როლი. ეს იყო სამოქალაქო და პატრიოტული იდეალი. ამერიკულ რესპუბლიკანიზმს დაემატა კერძო საკუთრების ლიბერალური შეხედულება, ეკონომიკური თავისუფლება და შესაძლებლობათა თანასწორობა (Appleby 1984:18-21). რესპუბლიკანიზმი ქალებს რესპუბლიკაში არ ანიჭებდა აქტიურ პოლიტიკურ როლს. რესპუბლიკანიზმის იდეის მიხედვით, მდედრობითი სქესის მოქალაქეები ქვეყნის უსაფრთხოების გარანტორები ვერ იქნებოდნენ, მაგრამ ჰქონდათ საზოგადოებრივი ვალდებულება რესპუბლიკის პატიოსანი მოქალაქეების აღზრდისა, ანუ ტრადიციული კერძო ვალდებულება საზოგადოებრივ ვალდებულებად შეიცვალა. აღზრდას ოჯახში, განათლებასა და დედის მზრუნველობას ინდივიდუალური მორალის ჩამოყალიბებაში დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა, რადგან ოჯახი საზოგადოების მინიატურას წარმოადგენდა. რაც შეეხება სიტყვას ‘virtue’, ის მომდინარეობს ლათინური სიტყვიდან ,,ვირ’’, რაც კაცს აღნიშნავს. ტერმინიც ‘virtue’ შეეხება მამაკაცის სამოქალაქო სულისკვეთებას და აქვს პოლიტიკური მნიშვნელობა, რომელიც მჭიდროდ არის დაკავშირებული რესპუბლიკურ იდეოლოგიასთან. ის გულისხმობდა მოქალაქეების ჩართულობას სამოქალაქო ცხოვრებაში და პიროვნული ინტერესების გაწირვას საერთო სიკეთისთვის (Bloch 1987:38). ამ შეხედულების მიხედვით, პატიოსნება გაგებულია, როგორც პიროვნული – ქალის და პოლიტიკური – მამაკაცის თვისება. სიტყვა ‘virtue’ (პატიოსნება) ქალებთან მიმართებაში სექსუალური მნიშვნელობით ჯერ კიდევ ანტიკური დროიდან იღებს სათავეს.

გარდა ამისა, ქრისტიანობაში კეთილგონიერება და ქალწულება ასოცირებული იყო სიწმინდესა და ღვთისმოსაობასთან. მეთვრამეტე საუკუნის ამერიკაში რეფორმაციის პერიოდის შემდეგ პროტესტანტიზმი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა წმინდა და უმანკო ქალებს. თუმცა საზოგადოებრივი პატიოსნება ქალისთვისაც იყო შესაძლებელი, ოღონდ მხოლოდ გამონაკლისის სახით, მაგალითად, ისეთი ქალები, რომლებიც გაბედული საქციელით გამოირჩეოდნენ ან ფიზიკურად ძლიერები იყვნენ. მხოლოდ ფემინინურობის საზღვრის გადაკვეთით შეეძლოთ ქალებს, მიეღოთ საზოგადოებრივი პატიოსნება. ლიტერატურულ სენტიმენტალიზმში ქალის პატიოსნება უმანკოების მნიშვნელობას ინარჩუნებს. სენტიმენტალურ ნაწარმოებში ქალს სექსუალური სიწმინდე და უბიწოება მოეთხოვება, რაც სამოქალაქო პასუხისმგებლობად აღიქმება.

ლინდა კერბერი რესპუბლიკელ ქალს შემდეგნაირად განსაზღვრავს: ,,რესპუბლიკელი ქალი თავდაჭერილი, განათლებული და ქარფშუტობისაგან თავისუფალი უნდა ყოფილიყო... მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკაში აქტიური არ იყო, პოლიტიკურ ასპარეზზე პასუხისმგებლობას გრძნობდა... მისი ცხოვრება სამოქალაქო პატიოსნებას ეძღვნებოდა: ზრდიდა ვაჟებს, ამხელდა მეუღლეს და მათ შეცდომებს უსწორებდა“ (Kerber 1986:227–228). ქალები სახელმწიფოს ემსახურებოდნენ, როგორც დედები და ცოლები, რომლებიც განსაზღვრავდნენ და ქმნიდნენ მის ფასეულობებს, აყალიბებდნენ საზოგადოების მამრობითი წევრების მანერებს, ხასიათს, იდეებს. რუთ ბლოხი წიგნში ,,სქესი და ეთიკა ანგლოამერიკულ კულტურაში“ მიუთითებს, რომ ,,დედობა აღიქმებოდა, როგორც ძლიერი ინსტრუმენტი, რომლის მეშვეობითაც ქალები დიდ სოციალურ გავლენას ფლობდნენ“ (Bloch 2003:72).

განსხვავებით ,,რესპუბლიკელი ქალის“ ტრადიციული აღქმისა, რომელსაც კერბერი აღწერს, ჯუდიტ სარჯენტ მარეი, ,,რესპუბლიკელი ქალის“ თეორეტიკოსი, აყალიბებს ქალის დამოუკიდებლობისა და საკუთარი თავის პატივისცემის უფრო რადიკალურ შეხედულებებს. ის ისეთ დამოუკიდებლობაზე საუბრობს, რომელიც ,,რესპუბლიკელი

ქალის“ საზღვრებს უფრო შორს სწევს. მისი კრიტიკული ესეები „სქესთა თანასწორობის შესახებ“, „უთავბოლო აზრები თვითკმაყოფილების ხარისხის ამაღლების სარგებლიანობაზე, განსაკუთებით ქალებში“ და წიგნი „თავთავების შეგროვება“, სქესთა თანასწორობისა და ქალის თავდაჯერებულობის აზრის დაცვის გზით საფუძველს უყრის თანამედროვე ფემინიზმს. მარეი ქალებს მოიხსენიებს როგორც „რაციონალურ არსებებს“, რომელთაც შესწევთ ძალა, გათავისუფლდნენ „ქორწინების ბაზრისგან“ და ცოლქმრული ვალდებულებებისაგან. ქალებს აქვთ ყველა ის ინტელექტუალური ძალა, რაც მამაკაცებს გააჩნიათ, ქალები და კაცები ინტელექტუალურად და გონებრივად თანაბრად განვითარებული არიან, ქალის შესაძლებლობები „ბუნებით კაცთან თანასწორია“ (Murray 2003:784-786). მისი მოსაზრებით, მხოლოდ განსწავლული ქალი შეიძლება იყოს საკუთარ თავზე პასუხისმგებელი, „ისწავლოს საკუთარი თავის პატივისცემა“ და ინტელექტუალურად მომზადებული იყოს მომავალი ცხოვრებისათვის (Murray 1995:47). მარეი მიუთითებს, რომ ახალგაზრდა ქალი, რომელიც იმ აზრით იზრდება, რომ ცოტა ან საერთოდ არ გააჩნია პიროვნული მიმზიდველობა და რომ მისი გონებრივი შესაძლებლობები დაბალია, საკუთარი თავის რეალიზაციას მხოლოდ ქორწინებაში პოულობს და პირველივეს დამორჩილდება, ვინც სიყვარულის გრძნობით მიუახლოვდება (Murray 1995:48). მარეისათვის, ქორწინების წინაპირობა ორმხრივი სიყვარული და გაგებაა. მხოლოდ განათლებული და თავდაჯერებული ქალი შეძლებს ორმხრივი ურთიერთობის გაბმას მამაკაცთან, მხოლოდ სიყვარულზე, მეგობრობასა და პატივისცემაზე დაფუძნებული ქორწინებაა გამართლებული. სხვა შემთხვევაში, ქალი არ უნდა გათხოვდეს და უნდა ისწავლოს მარტო ცხოვრება. მარეი მიიჩნევდა, რომ ფემინისტური რეფორმა თვითონ ოჯახიდან უნდა დაწყებულიყო. ოჯახური თანასწორობა უფრო ფართო თანასწორობის საფუძველი იქნებოდა. მარეის რწმენით, ამერიკას ზნეობრივი და ჭკვიანი ქალი სჭირდებოდა, რომელიც ოჯახსა და საზოგადოებაში უფრო ფართო როლს იტვირთებდა. მარეის თვალთახედვით, ზნეობრივი ქალები

დაჯილდოვდებოდნენ, ეს ჯილდო კი მოიცავდა არა მხოლოდ კარგ ქორწინებას, არამედ უფრო ფართო სამართლებრივ და პოლიტიკურ ძალაუფლებასაც.

ჩემი აზრით, რესპუბლიკელი ქალის იდეა ნაწარმოებში „კეკლუცი“ სცდება მხოლოდ განათლებულ, ზნეობრივ, უბიწო ქალს და უფრო ფართო და მრავლისმომცველ ცნებად გადაიქცევა. რომანში რესპუბლიკელი ქალის განსახიერებას წარმოადგენენ მისის რიჩმანი და ელაიზა უორტონი. ისინი განათლებული და ზნეობრივი ქალები არიან. მისის რიჩმანი წარმატებით ართმევს თავს ცოლის მოვალეობას, მეუღლისათვის მნიშვნელოვანი დასაყრდენია, გარდა ამისა, რაციონალურად უყურებს პოლიტიკურ ცხოვრებას, მაგრამ ამავე დროს არ კარგავს ქალურ იდენტობას. გარდა ამისა, მისის რიჩმანი მხოლოდ ოჯახურ საზრუნავზე არ არის მიჯაჭვული, ის და მისი მეგობრები, ელაიზას ჩათვლით, ქმნიან დებატების საზოგადოებას, სადაც ხდება მათი იდეების, გრძნობებისა და აზრების გაზიარება. ქალები ღიად გამოხატავენ პოლიტიკურ შეხედულებებსა და ინტერესს საზოგადოებრივი სფეროსადმი. ისინი ამით ადასტურებენ ქალების პოლიტიკურ იდენტობას, ქვეყნის განვითარებისა და კეთილდღეობისადმი ინტერესს. როგორც მისის რიჩმანი მიუთითებს, ქალები არა მხოლოდ უნდა ინტერესდებოდნენ პოლიტიკური მოვლენებით, არამედ მონაწილეობაც უნდა მიიღონ პოლიტიკური გადაწყვეტილების პროცესში. რიჩმანი უფრო შორსაც მიდის, ვიდრე რესპუბლიკელი ქალის დოქტრინაა, იმით, რომ ქალის აქტიურ პოლიტიკურ ცხოვრებას ითხოვს. ამასთანავე, აღწერს ქალის ფუნქციასა და წვლილს რესპუბლიკისათვის და ამით ქალისა და მამაკაცის როლის თანასწორობას ადასტურებს. მისის რიჩმანის პატრიოტული მოწოდება აშშ-ის პრეზიდენტის ჯონ ადამსისადმი აბიგაილ ადამსის ზემოთ აღნიშნული წერილის ერთ-ერთი პასაჟის ანარეკლად შეიძლება მივიჩნიოთ.

> „...გახსოვდეთ ქალები, იყავით უფრო სულგრძელი და შემწყნარებელი მათ მიმართ, ვიდრე თქვენი წინაპრები. ნუ მისცემთ მათ ქმრებს განუსაზღვრელ ძალაუფლებას. გახსოვდეთ, ყველა კაცი ტირანი იქნება, თუ ამის

> საშუალებას მივცემთ. თუ განსაკუთრებული ზრუნვა და ყურადღება არ დაეთმობა ქალებს, გადაწყვეტილი გვაქვს, აჯანყება მოვაწყოთ, ჩვენ არ დავემორჩილებით ისეთ კანონებს, რომლებიც არ მიგვიღია, ან არ გამოხატავს ჩვენს უფლებებს“.
>
> (Adams 1963:369)

ამ წერილიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ქალთა სქესს აქვს მოთხოვნა საზოგადოებრივ სფეროზე და რომ ქალთა ინტერესი, ღვაწლი პოლიტიკასა და სახელმწიფოს მშენებლობის პროცესში ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც მამაკაცების. მისის რიჩმანი ქალთა უფლებების დაცვისათვის აბიგაილ ადამსის მიერ გამოთქმულ აზრს იმეორებს.

რადგან რესპუბლიკელი ქალის მოდელი დედა იყო, მისის რიჩმანიც ელაიზას ქორწინების აუცილებლობაში არწმუნებს, ამით უნებურად მიუთითებს ქორწინების პოლიტიკურ ფუნქციასა და შვილების აღზრდაზე, როგორც ქალის რესპუბლიკისადმი უმთავრეს ვალდებულებებზე. სამშობლოსადმი ასეთი ზრუნვის გამო, მისის რიჩმანი რესპუბლიკელი ქალის ყველაზე მაღალი ღირსებით გამოირჩევა. ამიტომ ის ავტორისათვის სანიმუშო პერსონაჟი და სამაგალითო რესპუბლიკელი დედაა.

მეთვრამეტე საუკუნის ბოლოსათვის ქორწინებაში ,,ორმხრივობა“ და ,,თანაზიარობა“ მნიშვნელოვნად გადაიქცა. როგორც მერი ბეტ ნორტონი თავის წიგნში ,,თავისუფლების ქალიშვილები: ამერიკელი ქალების რევოლუციური გამოცდილება, 1750-1800“ მიუთითებს, ქორწინებისადმი სტანდარტული მიდგომა შეიცვალა, გადაფასდა და კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა ქალის ბედნიერებისათვის ქორწინების მნიშვნელობა (Norton 1980:235). ამიტომ თანასწორი ცოლქმრული კავშირი გახდა ის, რაზეც მშობლებმა გავლენა დაკარგეს, ქალებმა კი უფლება მოიპოვეს მომავალი მეუღლეების ასარჩევად. იგივე შეიძლება აღმოვაჩინოთ რომანში: ,,კეკლუცის“ მთავარი გმირისთვის აუცილებელია თანასწორი ქორწინება, რომელიც ორმხრივ სიყვარულზე, გონიერებაზე, ერთგულებასა და აღტაცებაზე იქნება დაფუძნებული. მისი სწრაფვა

სიყვარულისადმი და ორმხრივი გრძნობისადმი მარეის ქალებისადმი მოწოდებას პირდაპირ ემთხვევა: ქალები კეთილგონიერები რომ ყოფილიყვნენ, მათ განსჯას ძალა შეემატებოდა და ცხოვრების პარტნიორებს ფრთხილად შეარჩევდნენ (Murray 2003:786).

ფოსტერის გმირი ელაიზა საკუთარ თავში დარწმუნებული ქალია, მამისა და საქმროს გარდაცვალების შემდეგ შეზღუდვების გარეშე დამოუკიდებლად ცხოვრება უნდა. სურს, განიცადოს ყველა სიამოვნება და გამოიყენოს ყველა შესაძლებლობა, რომელსაც კი ცხოვრება შესთავაზებს. ელაიზა იბრძვის, რომ ცხოვრება დამოუკიდებლად წარმართოს და ამისთვის ყველა საქორწინო შემოთავაზებას თავს არიდებს. “You are indeed tenacious of your freedom” („თავისუფლებას ჯიუტად ებღაუჭები”, Foster 1986:30), ტუქსავს მეგობარი ელაიზას. ელაიზა უორტონი თავგამოდებით ცდილობს, არ აღმოჩნდეს რომელიმე კაცის ხელში და მეგობარს სწერს, რომ მამაკაცთან მეგობრობის გარდა სხვანაირი ურთიერთობები არ შეუძლია. “I am under no special obligation to him and I do not intend to form any immediate connection… I wish to enjoy my freedom” (Foster 1986:50) („მის მიმართ ვალდებულება არ გამაჩნია. არ ვაპირებ, რომ მასთან საჩქაროდ კავშირის გაბმას... მინდა, რომ თავისუფლებით დავტკბე”). როგორც ალექსის დე ტოკვილი თავის წიგნში „დემოკრატია ამერიკაში” მიუთითებს, ქორწინებამდე ამერიკაში გოგონები ძალიან დამოუკიდებლები არიან და საკუთარ თავს ემორჩილებიან, „ის [ქალი] მთლიანად საკუთარ ძალას ეყრდნობა...ამერიკელი ქალი ყოველთვის საკუთარი თავის ბატონ-პატრონია” (Tocqueville 1957:198-200). ხოლო გათხოვილი ქალის სტატუსის შესახებ კანონის თანახმად, ქალი ქორწინების შემდეგ ქმარზე სრულიად დამოკიდებული ხდებოდა. როგორ ჩანს, ელაიზამაც იცის თავისი უფლებების შესახებ ქორწინების შემდეგ და ამიტომაც მთელი ძალით ებღაუჭება თავისუფლებას. ალექსის დე ტოკვილი და მოგვიანებით მერი ბეტ ნორტონი ამტკიცებდნენ, რომ ამერიკელ ქალებს უფრო ნაკლები მოვალეობები ჰქონდათ და მშობლებისგან მეტი დამოუკიდებლობით სარგებლობდნენ, ვიდრე ეს დაქორწინების შემდეგ ხდებოდა. ელაიზას კარგად უნდა მოეხსენებოდეს, რომ გოგონას საზრუნავი ვერ გახდება

მისი, როგორც მომავალი ცოლის, საზრუნავი, რომ გათხოვილი ქალის ბედნიერების სათავე მისივე მეუღლის ოჯახია (Tocqueville 1957:202).

ერთი მხრივ, ელაიზა მოხიბლულია რიჩმანების ცოლქმრული ურთიერთობით და მიაჩნია, რომ ეს ყველაზე მგზნებარე სიყვარულია, თვითონაც ეოცნებება ამგვარი ოჯახური ცხოვრება და წარმოთქვამს:

> ,,ფანჯრიდან თვალი გავაყოლე. ბედნიერი წყვილი... თუკი ოდესმე ქორწინების ბედი მეწვევა, ნეტავ ჩვენც ასეთი ერთსულოვნები ვიყოთ! ყველაზე წმინდა და მგზნებარე სიყვარული, უაღრესად ჰარმონიული სათნოება და სურვილები გამოარჩევს ამ მშვენიერ წყვილს''.
>
> (Foster 1986:14)

აშკარაა, რომ რიჩმანების ურთიერთობა ელაიზას იდეალი და ბედნიერი ქორწინების მაგალითია. მაგრამ, მეორე მხრივ, ცოლქმრული კავშირი, ოჯახური ცხოვრება და მყუდროება, ,,ქალის სფერო'' მისთვის შეზღუდული და ლიმიტირებულია. მეგობრის მიმართ წერილში ელაიზას ოჯახური ცხოვრების მნიშვნელობაში ეჭვი შეაქვს. ელაიზა წერს:

> ,,ქორწინება მეგობრობის სამარეა. ჩემთვის ეს ძალიან ეგოისტური მდგომარეობაა. ზოგადად, როგორც კი ხალხი ქორწინდება, ყველა ყურადღებას, საზრუნავსა და სიამოვნებას რატომ მიმართვას მხოლოდ ოჯახისკენ? ძველი ნაცნობობა უგულებელყოფილი ან დავიწყებულია. მეგობრებს შორის უნაზესი კავშირები სუსტდება ან ქრება; თვით სიკეთეც ძალიან ლიმიტირებულ სფეროში ინაცვლებს''.
>
> (Foster 1986:24)

თუ ამ ორ პასაჟს ერთმანეთს შევუპირისპირებთ, შეგვიძლია ელაიზაში წინააღმდეგობრივი პიროვნება ამოვიცნოთ. ის მოხიბლულია წყვილის ქორწინებით, ამავე დროს, ცდილობს დამოუკიდებლობა შეინარჩუნოს და გაიგივებული იყოს გაუთხოვარ ქალთან, მიუხედავად იმისა, რომ სენფორდი მოსწონს. თავიდანვე

ვხედავთ, რომ ელაიზა ბედნიერებისა და კმაყოფილების ძიებაშია, ეძებს მომავლის გზას. ოჯახური ცხოვრების თვალსაზრისით, ელაიზა მარეის თანასწორი ქორწინების მოდელს განასახიერებს, რომელიც მხოლოდ ორმხრივ სიყვარულსა და სინაზეს ეფუძნება. ელაიზას არ სურს, ცოლად მღვდელ ბოიერს გაჰყვეს, რადგან სჯერა, რომ ბოიერის მიერ თავსმოხვეულ შეზღუდვებსა და ზრუნვას ვერ მიიღებს. ამ თვალსაზრისით, ფოსტერი ნამდვილად თანაუგრძნობს თავის გმირს. მწერალი ელაიზას საქციელს ამართლებს ბოიერისა და მისი მეგობრის მიმოწერის ჩვენებით, საიდანაც შეიძლება დავასკვნათ, როგორი ცხოვრება ელოდება ელაიზას, თუ ცოლობაზე ბოიერს დათანხმდება. ბოიერის შემოთავაზებაზე უარის თქმით, ელაიზა ეწინააღმდეგება ქორწინებაში მამაკაცისა და ქალის ,,არათანაბარ პრეროგატივებს'' - კაცს აქვს უფლება, აირჩიოს მომავალი მეუღლე ან პარტნიორი მაშინ, როცა ქალი შეზღუდულია თავის არჩევანში. ელაიზა აღიარებს, რომ მხოლოდ მაშინ გათხოვდება, თუ ორივე – გული და გონება თანაბრად იქნება ჩართული. მისთვის განმარტოება, სოფლის მშვიდი ცხოვრება და მეგობრობა არ არის საკმარისი ოჯახის შესაქმნელად მჭერმეტყველ, მაგრამ მედიდურ კაცთან ერთად. უსიყვარულო ქორწინებას ის შინაბერობას ამჯობინებს. ელაიზა წარმოთქვამს:

> ,,რაოდენ სამწუხაროა... რომ მიმზიდველობა და ღირსება ხშირად ერთად არ არსებობს! ამ ორმა აუცილებლად უნდა მოიყაროს თავი ჩემს რჩეულში. და, ვიდრე ასეთს არ მოვძებნი, ხელს ასე მოვაწერ – ელაიზა უორტონი... რატომ არის, რომ ერთის ღირსებები, მეორის მიმზიდველობა და სიმდიდრე არ ერთიანდება? მაშინ ნამდვილად ბედნიერი ვიქნებოდი''.
>
> (Foster 1986:22, 53)

კეტი დევიდსონს მიაჩნია, რომ ელაიზას ტრაგედია ის არის, რომ ისეთ კაცს ვერ შეხვდა, როგორიც გენერალი რიჩმანია; ელაიზას მხოლოდ შემოთავაზებები აქვს კაცებისგან, რომლებთანაც მომავალი ვერ წარმოუდგენია. ქალი თავის პირობას ასრულებს: დედის სახლსა და ელაიზა უორტონის ცხოვრებასაც ტოვებს (Davidson, 1986). ერთი

მხრივ, მისი საქციელი ემანსიპირებული ქალის ქმედებაა: მიუხედავად მეგობრების ზრუნვისა, სიყვარულისა და შემწყნარებლობისა დაცემისა და შეცდენის შემდეგ, ის მაინც თავის სურვილს ემორჩილება და გადაწყვეტს, რომ საზოგადოებას გაექცეს, განმარტოვდეს. მეორე მხრივ, დაცემითა და კეკლუცობით ელაიზა ოდნავ სცდება მარეის სამაგალითო ქალს: ელაიზამ ვერ შეძლო საკუთარი თავის რეალიზება, დახვეწილ საზოგადეობასა და მაღალი წრის გასართობებში საკუთარი თავი ვერ იპოვა, საბოლოოდ კი სიმტკიცეს მაიორ სენფორდთან შეხვედრის შემდეგ კარგავს (Foster, 1986:27).

შეიძლება დავასკვნათ, რომ ელაიზა უორტონი დამოუკიდებელი ქალია, თავისუფლებისაკენ სწრაფვით ის არქეტიპული მაძიებელი გმირის სახეა, რომელიც საზოგადოებაში საკუთარ ადგილსა და ფუნქციას ეძიებს. ის მარეის ესეში ,,სქესთან თანასწორობის შესახებ'' ევაა, რომლის სახეც ჯონ მილტონის ,,დაკარგული სამოთხის'' ევას სახითაა ნასაზრდოები. ევა ცოდნის, ჭეშმარიტებისა და საკუთარი თავის განსაზღვრისაკენ სწრაფვას განასახიერებს და ,,გონების მორთვის სურვილით'' არის მოტივირებული (Murray 2003:789).

საბოლოო ჯამში, ის სფერო, სადაც ელაიზამ შეიძლება განახორციელოს თავისი სურვილები, არ მოიძებნა. ქალი მარცხდება თვითრეალიზაციისა და თვითგამოხატვის გზაზე. მან ვერ შეძლო, განეხორციელებინა ქალური არსებობა და პიროვნული პასუხისმგებლობა. ამიტომაცაა, რომ მისი თავდაჯერებულობა და თავშეკავება მარტივად ტყდება და ბოლოს კი ქალი ნადგურდება: "Oh, my friend, I am undone" - ,,აჰ, ჩემო მეგობარო, დავიღუპე'' (Foster 1986:105), აღმოხდება სასოწარკვეთილ ელაიზას. ბოიერი მასზე უარს ამბობს, სენფორდი სხვა ქალს ირთავს. საზოგადოებრივი გართობები, მეგობრების მონახულება და ხალხთან შეხვედრა მას უკვე სიამოვნებას აღარ ჰგვრის. "I am a poor solitary being" - ,,საბრალო და მიტოვებული არსება ვარ'' (Murray 1986:15), წარმოთქვამს ელაიზა რომანის დასაწყისში და რომანის ფინალში ის კიდევ უფრო განმარტოებულად გვევლინება. ქალის იმედგაცრუება და რწმენის დაკარგვა აისახება მის გონებრივ არამდგრადობასა და ბოლოს ფიზიკურ უძლურებაზე, რომელიც დაცემას მოჰყვება. კეტი დევიდსონი თავის წიგნში

,,რევოლუცია და სიტყვა: ამერიკაში რომანის აღორძინება'' ელაიზას სქესობრივ აქტს აკავშირებს თვითმკვლელობასთან და მეტაფორულ სიკვდილთან, რომელიც მალე რეალობად იქცევა (Davidson 1986:147). ელაიზა უორტონს, ოცდაჩვიდმეტი წლის ასაკში, კარგად აქვს გაცნობიერებული, რას აკეთებს, განსხვავებით ასევე სხვა ცდუნების რომანების გმირებისა, რომლებიც დაბნეულები არიან. ელაიზამ იცის თავისი მდგომარეობა, მაგრამ მაინც აძლევს სენფორდს მოტყუების უფლებას და სწორ გზას სცდება. ცდუნების რომანის ტიპური გმირისაგან განსხვავებით, რომელსაც ნამდვილად უყვარს თავისი მაცდუნებელი, ელაიზა მხოლოდ მოხიბლულია არისტოკრატი თაყვანისმცემლით, ნებდება მის ფლირტს და ცოდვის გზას ირჩევს. ელაიზას აქვს არჩევანის უფლება, დაამყაროს ან არ დააამყაროს ხორციელი კავშირი სენფორდთან მაშინ, როცა არასოდეს ახსენებს სანფორდთან ქორწინებას და არ გამოხატავს მასთან ცოლქმრული ცხოვრების სურვილს. თავისი საქციელით ელაიზა გაუცნობიერებლად, მაგრამ მაინც ანგრევს მეთვრამეტე საუკუნის სექსუალური მორალის ორმაგ სტანდარტს, რომელიც ქალის უბიწოებას ღირსებად აღიარებდა და, როგორც ნენსი ფ. კოტი თავის სტატიაში ,,ვნების უქონლობა: ვიქტორიანული სექსუალური იდეოლოგიის ინტერპრეტაცია, 1790-1850'' მიუთითებს, ,,ადამიანის ზნეობის არქეტიპად'' მიიჩნევდა (Cott 1978:223). ეს სტანდარტი მამაკაცის ძალაუფლებას წინა პლანზე აყენებდა, რომელიც უფლებას აძლევდა კაცებს, ქალები ისე შეეცდინათ, რომ საზოგადოებაში პატივისცემა არ დაეკარგათ, ხოლო ქალებს კი იგივე საზოგადოება ქორწინების გარეთ სექსუალური ურთიერთობისთვის ამხელდა და მსჯავრს სდებდა. ელაიზა აკრძალული სქესობრივი კავშირით ამსხვრევს გაბატონებულ ნორმებსა და ზნეობრივ კოდექსს. უმანკოების დაკარგვითა და ,,ღირსების" გზის მიტოვებით, ელაიზა უარს ამბობს ,,ვნების უქონლობის'' იდეასა და ქალის შესახებ ,,ასექსუალურ შეხედულებაზე'', რომელიც გამომდინარეობდა ქალის უმანკოებიდან, სქესებს შორის ბარიერს აღმართავდა და სექსუალური გრძნობების მოზღვავებას აკავებდა (Bloch 1978:247). ელაიზას სახეში აქ ჩვენ კიდევ ერთხელ ვხედავთ თავისუფლების გზით

ემანსიპირებული ქალის ჩანასახს და ფემინიმიზმის (თანამედროვე გაგებით) საწყისებს.

მიუხედავად ელაიზას დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვისა, ის ბოლომდე თავისუფალი მაინც არ არის: ფინანსურად დედაზეა დამოკიდებული, საკუთარ ცხოვრებას ვერ განაგებს, ხოლო, საბოლოოდ, დამოკიდებულია საზოგადოებასა და იმ კანონებზე, რომელთაც ვერ დაემორჩილა. ჯულია სტერნი რომანს შემდეგნაირად აღწერს: ეს არის ისტორია გულახდილი რესპუბლიკელი ქალისა, რომლისაც საბოლოოდ არავის ესმის (Stern 1997:130).

ელაიზა უორტონის დილემა მისივე პიროვნებიდან გამომდინარეობს, მიუხედავად უსაზღვრო დამოუკიდებლობისა და თავდაჯერებულობისა, ის მაინც არ არის ბოლომდე მტკიცე და ძლიერი ხასიათის ქალი, რომელსაც ურყევი ნებისყოფა ექნებოდა და რესპუბლიკური საზოგადოების ნორმებით არ შეიზღუდებოდა. ტრაგიკული ისტორია და გარდაცვალება საბოლოოდ გამოწვეულია კონფლიქტით არამდგრად ხასიათსა და ქალის უბიწოებისა და ცოლქმრობის ვალდებულებების შესახებ საზოგადოების ნორმებს შორის. ელაიზას სასიყვარული ურთიერთობა, ორმაგი სექსუალური სტანდარტის დანგრევით, საქორწინო კავშირში სქესთა თანასწორობისა და გათანაბრების იდეას წინ წამოსწევს და მას დიდ მნიშვნელობას ანიჭებს (Stern 1997:712). ამ აქტმა კი მერი უოლსტოუნკრაფტის რადიკალური ფემინისტური მოწოდება შეიძლება მოგვაგონოს. როგორც ცნობილია, უოლსტონკრაფტი არ უარყოფდა ქორწინებას, როგორც ინსტიტუციას, პირიქით, მიიჩნევდა, რომ ეს იყო სწორედ ადამიანის უმაღლესი მდგომარეობა. მაგრამ, ამავე დროს, ის ხაზს უსვამდა პარტნიორთა თანასწორობას სოციალურ სისტემაში, სადაც ორივე სქესს ერთნაირი სოციალური და პოლიტიკური პრივილეგიები, პიროვნული თავისუფლებისა და სექსუალური გამოხატვის თანაბარი იურიდიული უფლება ექნებოდა, ქალები ღირსებასა და დამოუკიდებლობას ქორწინებაშიც შეინარჩუნებდნენ. ქალებს უნდა გამოევლინათ იმავე ხასიათის ინტელექტუალური, ზნეობრივი და პოლიტიკური ოსტატობა,

როგორიც კაცებს, თუ ორივე სქესს იგივე განათლება, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები ექნებოდა.

ჰანა უებსტერ ფოსტერის მიხედვით, როგორც დავინახეთ, რესპუბლიკელი ქალის ცნება უფრო ფართოა და არ არის მხოლოდ სამაგალითო რესპუბულიკელ დედასა და ცოლზე ფოკუსირებული. მისის რიჩმანის პერსონაჟით ფოსტერი ხატავს დაქორწინებული რესპუბლიკელი ქალის უმაღლეს ღირსებებს, ქალისა, რომელმაც იპოვა თავისი ქალური იდენტობა ქორწინებასა და ოჯახურ ცხოვრებაში. ის სამაგალითო დედა და მეუღლეა, რესპუბლიკის ღირსეული მოქალაქეა. სრულყოფილი და დახვეწილი საქციელით რიჩმანი რესპუბლიკელი ქალის გაიდეალებული ფორმაა. ელაიზა უორტონი კი რიჩმანის სრული ანტიპოდია. ის შეიძლება ჩავთვალოთ ქალად, რომელიც კვლავ თვითგამორკვევის გზაზეა და ცოლქმრული ცხოვრების გარეთ ეძებს სფეროს, სადაც საკუთარი თავის რეალიზებას მოახდენს. მიუხედავად დაცემისა და ცოდვისა, ელაიზა მაინც არის მარეის მიერ მოწონებული რესპუბლიკელი ქალი. რადგან, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რესპუბლიკელი ქალი კარგ დედასა და ცოლზე მეტია, ის დამოუკიდებლობას, ჭეშმარიტების ძიებასა და საკუთარი ადგილის პოვნისაკენ სწრაფვას განასახიერებს. ელაიზა რეალურ ცხოვრებასა და სიტყვაკაზმულ მწერლობაში ახალი ტიპის ქალი იყო. თავის დროზე რომანის უზარმაზარი პოპულარულობა და წარმატება სწორედ იმ ფაქტით შეიძლება ავხსნათ, რომ ქალებს ელაიზას საქციელში საკუთარი დაფარული სურვილები შეიძლება აღმოეჩინათ; ფოსტერის გმირი კი ქალის ცხოვრების ნორმებისა და წესების დარღვევას კანონიერებას სძენდა, მათ ლეგიტიმაციას აძლევდა, რასაც მეთვრამეტე საუკუნეში ქალები რეალურ ცხოვრებაში ვერ განიცდიდნენ.

ამერიკული რომანის ისტორია ამერიკის რევოლუციის შემდეგ იწყება. უკვე რევოლუციის პერიოდმა მოამზადა ნიადაგი ქალთა იდეოლოგიის შესახებ, რომელიც განსაზღვრავს მეთვრამეტე საუკუნის ლიტერატურულ ტრადიციასა და სიმბოლიზმს. ეკონომიკის, კულტურის, კაპიტალიზმის განვითარებამ, რომელსაც მოჰყვა სოციალური ტრანსფორმაცია და პროტესტანტიზმი, გავლენა

მოახდინა ქალების მიმართ დამოკიდებულებაზე, რამაც მნიშვნელოვნად განსაზღვრა ქალთა იდეოლოგია ამერიკაში. ქალები შევიდნენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში და ქალების შესახებ წერა დაიწყეს, საზოგადოების მხრიდან მოწონება დაიმსახურეს, უზარმაზარ წარმატებას მიაღწიეს ლიტერატურულ ბაზარზე. ამ სფეროში უმეტესად მამაკაცი დომინირებდა. ხოლო მეთვრამეტე საუკუნის დასასრულისთვის დამახასიათებელია მკაცრი საზღვრების მოშლა ქალისა და მამაკაცის მოქმედების სფეროებს შორის. ბევრი მამაკაცური პროფესია ფემინიზებული გახდა, მათ შორის, პროფესიული ავტორობა, რამაც ხელი შეუწყო საზოგადოებრივ ცხოვრებაში ქალის მოღვაწეობის ლეგიტიმაციას.

ზოგი მკვლევარი მიიჩნევს, რომ ქალი ავტორების ცდუნების სენტიმენტალური რომანი, რომელიც გვიხატავს საზოგადოებრივი სტანდარტების მსხვერპლს, კი არ ამართლებს ამგვარი გმირის საქციელს, არამედ მოუწოდებს, რომ იყოს უფრო ძლიერი და წინ აღუდგეს მამაკაცის ჟინს. ქალის საქციელი გაგებულია, როგორც სამოქალაქო პასუხისმგებლობა; პატიოსანი მოქალაქე მთლიანად საზოგადოების მაგალითია, რომელსაც შეუძლია სამართლიანი კანონები მიიღოს, დაიცვას საკუთარი ქვეყანა. მკვლევრები ამტკიცებენ, რომ ცდუნების სიუჟეტი უფრო ვრცელი პრობლემის მეტაფორაა: ახალი რესპუბლიკის მომავალი შეიძლება საფრთხეში ჩააგდონ ცოდვილმა მოქალაქეებმა. უკვე ცდუნების რომანებში გვყავს სამაგალითო დედები, რომლებმაც გაისიგრძეგანეს საკუთარი სამოქალაქო პასუხისმგებლობა და საზოგადოებრივ ცხოვრებას ოჯახებიდან ცვლიან. სენტიმენტალურ მწერლობაში ქალ გმირებს უდიდესი პასუხისმგებლობა ეკისრებათ ახალი რესპუბლიკის ბედის გამო, რადგან მათ უნდა ასწავლონ მკითხველს სწორი ცხოვრება, იზრუნონ საზოგადოებრივი სფეროს მორალზე. ერთი მხრივ, ამერიკული საშუალო ფენის საზოგადოების ცხოვრების დახატვით, დაცემული ქალის უიმედო მდგომარეობით, მწერლები შთაგონებას აძლევდნენ მკითხველს, შეენარჩუნებინათ სხეულებრივი უმანკოება, გამოევლინათ სამაგალითო ქცევა, ყოფილიყვნენ კეთილშობილები და სანიმუშო სხვებისათვის. ხოლო, მეორე მხრივ, 1790-იანი წლებიდან

იგივე ქალი ავტორები თავიანთი ლიტერატურის მეშვეობით ხელს უწყობდნენ ქალების მოქმედების სფეროს გაზრდას განათლების, განვითარებისა და ქალის დამოუკიდებლობის პროპაგანდის გზით. ამ რომანების ავტორები უთანასწორო საზოგადოებრივი და სოციალური უფლებების ჩვენებითა და გარემოს უმკაცრესი სტანდარტების წარმოჩენით, ცდილობდნენ გაეფრთხილებინათ მკითხველი მოსალოდნელი უბედურების შესახებ. ასევე, დაცემული ქალის ჩვენებით, ნებსით თუ უნებლიეთ, ემანსიპირებული ქალის სიმბოლოს გამოკვეთას ემსახურებოდნენ, რომელიც ეწინააღმდეგება ქალის შესახებ არსებულ იდეოლოგიას და ახალ ფასეულობებს გვთავაზოს. შეიძლება დავასკვნათ, რომ ამგვარი მსოფლმხედველობის წარმოჩენით ეს ტექსტები უკვე ორგვარი ინტერპრეტაციის საშუალებას გვაძლევს და, აქედან გამომდინარე, ბიძგს აძლევს, მათ შორის, ,,კეკლუცის" ახლებურ გააზრებას.

გარდა ისტორიული მნიშვნელობისა და იდეოლოგიური დატვირთვისა, რომელიც ნაწარმოებს გააჩნია, ,,კეკლუცის" მხატვრული ღირებულებაც აღნიშვნას იმსახურებს. სენსუალობის თავიდან არიდების მიზნით, ფოსტერი ეპისტოლარულ ჟანრს მიმართავს, არ გვაჩვენებს მთავარი გმირის უშუალო შეცოდების აქტს, არამედ წერილებით მოგვითხრობს ფიქრებსა და შეხედულებებზე, რომლებიც თან სდევს ქალის ყველა ნაბიჯს დაცემამდე. ნაწარმოები იმითაც სცდება სენტიმენტალურ ტრადიციას, რომ, მართალია, შინაარსი სენტიმენტალურია, მაგრამ გმირები, განსაკუთრებით მთავარი გმირი, სენტიმენტალური რომანის გმირისგან განსხვავებულ შტრიხებს ატარებს. რომანის პროტაგონისტი არ არის სუსტი არსება, ის თავისუფალი და განათლებული ქალია, და, როგორც კეტი დევიდსონი იტყვის, ,,კეკლუცი" სწორედ იმ რომანთაგანია, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს ამერიკის პირველი ფემინისტური მოძრაობისა და ქალის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის საწყისად (Davidson 1986:135).

ტერმინი „ფემინიზმი" მეოცე საუკუნეში შეიქმნა. თუმცა ფემინიზმის იდეა ჯერ კიდევ მეთვრამეტე საუკუნის ნაყოფია, როცა ჯუდიტ სარჯენტ მარეი, მერსი ოტის უარენი, სიუზანა როუსონი, ჰანა

უებსტერ ფოსტერი და სხვა თეორეტიკოსები თუ მწერლები ხმამაღლა საუბრობდნენ ქალთა განათლების, თანაბარი უფლებების, ინტელექტუალური თუ პროფესიული უნარების, ეკონომიკური დამოუკიდებლობის, პოლიტიკური და სამართლებრივი უფლებების შესახებ. რეალური ფაქტების მოხმობითა და გაანალიზებით, ქალი ავტორები ცდილობდნენ, განესაზღვრათ ქალის იდენტობა და შეეცვალათ საზოგადოების დამოკიდებულება მდედრობითი სქესის მიმართ, გვაძლევდნენ რა ქალის შესახებ სრულიად განსხვავებულ აღქმას. როგორც ნენსი კოტი ასაბუთებს, მათი ძირითადი პრინციპი იყო ის, რომ ქალებს ისეთივე ნიჭი და სულიერი ინტელექტი გააჩნდათ, როგორიც კაცებს და ამიტომ იმსახურებდნენ იმავე შესაძლებლობებსა და უფლებებს თვითგანვითარებისა და წინსვლისათვის (Cott 1987:19).

ბიბლიოგრაფია

Adams, Abigail. Abigail Adams to John Adams, March 31, 1776, *Adams Family Correspondence*, ed. L. H. Butterfield. Cambridge, Mass.: Harvard University Press, 1963.

Appleby, Joyce. *Capitalism and a New Social Order: The Republican Vision of the 1790s*. New York and London: New York UP, 1984.

Bloch, Ruth H. *Gender and Morality in Anglo-American Culture, 1650-1800*. Berkeley and Los Angeles: University of California Press, 2003.

Bloch, Ruth H. "The Gendered Meanings of Virtue in Revolutionary America," *Signs: Journal in Culture and Society*, Vol. 13.XIII, No. I, 1987.

Bloch, Ruth H. "Untangling the Roots of Modern Sex Roles: A Survey of Four Centuries of Change," *Signs: Journal of Women in Culture and Society*, Vol. 4, No. 21, 1978.

Baym, Nina. *Novels, Readers, and Reviewers: Responses to Fiction in Antebellum America.* Ithaca and London: Cornell UP, 1984.

Baym, Nina. *American Women Writers and the Work of History, 1790-1860*. New Brunswick and New Jersey. Rutgers UP, 1995.

Cott, Nancy. *The Grounding of Modern Feminism*. New Haven and London: Yale UP, 1987.

Cott, Nancy F. "Passionlessness: An Interpretation of Victorian Sexual Ideology, 1790-1850," *Signs: Journal of Women in Culture and Society*, Vol. 4, No 21, 1978.

Davidson, Cathy N. *Revolution and the Word: The Rise of the Novel in America*. New York and Oxford: Oxford UP, 1986.

Elliott, Emory. *The Cambridge Introduction to Early American Literature*. Cambridge: Cambridge UP, 2002.

Fiedler, Leslie A. *Love and Death in the American Novel*. Middlesex: Penguin Books, 1960.

Foster, Hannah Webster. *The Coquette*. 1797. Ed. Cathy N. Davidson. New York: Oxford UP, 1986.

Kerber, Linda K. *Women of the Republic: Intellect and Ideology in Revolutionary America*. New York: Norton, 1986.

Murray, Judith Sargent. "On the Equality of the Sexes." *The Norton Anthology of American Literature.* Vol. 1. Gen. ed. Nina Baym. New York: Norton, 2003.

Murray, Judith Sargent. "Desultory Thoughts upon the Utility of Encouraging a Degree of Self-Complicency, especially in Female Bosoms." *Selected writings*. ed. Sharon M. Harris. New York: Oxford UP, 1995.

Norton, Mary Beth. "American History", *Signs*, Vol. 5, No. 2, 1979.

Stern, Julia. *The Plight of Feeling: Sympathy and Dissent in the Early American Novel*. Chicago: University of Chicago Press, 1997.

Tocqueville, Alexis de. *Democracy in America*, trans. Henry Reive, rev., 2 vols. New York: Vintage Books, 1957.

Tompkins, Jane. *Sensational Design: The Cultural Work of American Fiction. 1790-1860.* New York and Oxford: Oxford UP, 1985.

Welter, Barbara. "The Cult of True Womanhood: 1820-1860," *American Quarterly*, Vol. 18, No. 2, 1966.

Wollstonecraft, Mary. *A Vindication of the Rights of Woman.* Introduction by Henry Fawcett. Chilworth and London: T. Fisher Unwin, MDCCCXCI.

Zagarri, Rosemarie. "Morals, Manners, and the Republican Mother," *American Quarterly*, Vol. 44, No 2, 1992.